პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული ორი გამოცდა - "საჯარო მმართველობის საფუძვლები" და „ინგლისური ენა - დონე B2". ინგლისური ენის B2 დონის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში მსურველები თავისუფლდებიან აღნიშნული გამოცდიდან). შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ის ვებგვერდზე: https://gtu.ge/. პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

პროგრამის მიზანია:

- ✓ მოამზადოს საჯარო მმართველობის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნით აღჭურვილი, შრომის ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი, მოთხოვნადი, კრეატიული იდეების განვითარებაზე ორიენტირებული, ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების პროფესიონალური უნარების მქონე სპეციალისტი;
- ✓ ჩამოუყალიბოს კურსდამთავრებულებს სახელმწიფო მართვისა და საჯარო მმართველობის ორგანიზაციებში ინოვაციური საქმიანობისა და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი, აგრეთვე გამოუმუშავოს ორგანიზაციის საქმიანობის კრიტიკული გააზრების, დაგეგმვისა და ახალი, ორიგინალური გზებით განვითარების ხედვა.
- ✓ შეუქმნას კურსდამთავრებულებს შემდგომ საფეხურზე სწავლის/კვლევის გაგრძელებისა და პროფესიონალური განვითარების დამოუკიდებლად წარმართვის მყარი საფუძველი სახელმწიფო მართვისა და საჯარო მმართველობის დარგის ნოვატორულად გააზრებისა და უახლესი მიღწევების გამოყენებით.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

სისტემურად აღწერს საჯარო მმართველობის პრინციპებსა და კონცეფციებს;

ფლობს საჯარო დაწესებულებებში ორგანიზაციის მართვასთან დაკავშირებულ პრობლემების იდენტიფიცირების და შესაბამისი პროექტების შემუშავების და/ან გადაწყვეტილების მიღების ინოვაციურ მეთოდებს;

განიხილავს თანამედროვე სახელმწიფოს განვითარების ტენდენციებს შედარებითი საჯარო მმართველობის კონტექსტის, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პრინციპების გათვალისწინებით;

შეიმუშავებს საჯარო დაწესებულებების სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის დოკუმენტებს, ახდენს მმართველობითი გამოწვევების სისტემატიზაციას და რეგულირების გავლენის შეფასებას საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკებზე დაყრდნობით;

ადგენს ორგანიზაციის მართვისა და ადმინისტრირების პროცესში, სტრატეგიული მიდგომების გამოყენებით, პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარების ხელშემწყობ ღონისძიებათა განხორციელების თანმიმდევრობას;

ადარებს საჯარო/კერძო დაწესებულებების, სამთავრობო და არასამთავრობო ინსტიტუტების მართვისა და ადმინისტრირების სპეციფიკას, მათი საქმიანობის, ორგანიზების, დაგეგმვის, საჯარო სერვისების უზრუნველყოფის მეთოდებსა და ინსტრუმენტებს;

დამოუკიდებლად ახორციელებს კვლევას საჯარო მმართველობის სფეროსთვის რელევანტური მეთოდების გამოყენებით, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და კვლევის ეთიკის პრინციპების დაცვით და არგუმენტირებულ დასკვნებს წარუდგენს აკადემიურ/პროფესიულ საზოგადოებას;

შეიმუშავებს სათანადო ღონისძიებებს ელექტრონული მმართველობის გაუმჯობესების, ღია მმართველობის პრინციპების რეალიზაციისა და საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით;

შეუძლია საჯარო ფინანსების მართვა მომჭირნეობისა და ეფექტიანობის პრინციპების საფუძველზე;

მონაწილეობს ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების/ღირებულებების ფარგლებში, კარგი მმართველობის (Good Governance) პრინციპებზე დაყრდნობით პიროვნული და მოქალაქეობრივი ღირებულებების პატივისცემის გარემოს შექმნასა და დამკვიდრების პროცესში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.
დადებითი შეფასებებია:

(A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
(B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
(C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
(D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
(E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

(FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სილაბუსებში მოცემულია სტუდენტის ცოდნის შეფასების შესაბამისი ფორმები და მეთოდები. შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა.

კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი მოცემულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე
http://gtu.ge/pdf/magistraturis_danarti_4_Sefasebis_wesi.pdf

სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით

№	სავალდებულო სასწავლო კურსები	კრედიტი
1.	საჯარო პოლიტიკის ანალიზი	5
2.	საქმიანი მოლაპარაკების თანამედროვე ტექნოლოგიები	5
3.	საზოგადოებრივი ურთიერთობები და პოლიტიკა	4
4.	სახელმწიფო მართვის აქტუალური პრობლემები	4
5.	ადმინისტრაციული მენეჯმენტი	4
6.	მდგრადი განვითარების თანამედროვე სტრატეგიები	4
7.	სამოქალაქო საზოგადოება და თანამედროვე დემოკრატია	4
8.	სტატისტიკა სახელმწიფო მართვაში	5
9.	ელექტრონული მმართველობა – შიდა სახელისუფლებო პროცესების რეინჟინერინგი	5
10.	პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის მექანიზმები ევროკავშირის ინსტიტუტებში	5
11.	ინფორმაციული უსაფრთხოების გეოპოლიტიკა	6
12.	საჯარო ფინანსები	5
13.	პროექტის მენეჯმენტი	5
14.	სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის მიღწევის თანამედროვე სისტემები	5
15.	ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემები	5
16.	კვლევის მეთოდები	6

17.	სახელმწიფოებრივი მოწყობის მოდელების შედარებითი ანალიზი	5
18.	ეთიკა და ანტიკორუფციული საქმიანობა საჯარო სამსახურში	4
	არჩევითი საგნები	
19.	საარჩევნო სისტემა და კანონმდებლობა	4
20.	სოციალური პოლიტიკა	4
21.	მართვის თანამედროვე მეთოდები ადგილობრივ ორგანოებში	4
	სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა	30